16 დეკემბერს კრემლში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ.

სესიამ ერთხმად დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლედის მესამე წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 247 (6056)

18

1977 წ.
დეკემბერი,
კვირა

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თანამედროვე კალათბურთის რამდენიმე კანონზომიერება

სტატისტიკა ანალიზის ეფექტური ფორმაა კალათბურთში. სტატისტიკის დახმარებით ბევრი ისეთი კანონზომიერების მიგნება შეიძლება, რაც „შეუიარაღებელი თვალისთვის“ ძნელი დასანახია.

საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ტურში ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ლენინგრადს ჰყავდა. „სპარტაკის“ წევრთა საშუალო ასაკი ცოტათი აღემატება 20 წელს. ამ სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე რამდენიმე დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: ის, რომ გუნდში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს, ის, რომ ხელმძღვანელობამ კურსი ახალგაზრდობაზე აიღო და ამასთან დაკავშირებით „სპარტაკმა“ გადასინჯა თავისი ძველი წარმოდგენა კალათბურთზე.

იმავე სტატისტიკაზე დაყრდნობით თბილისის ტურის მონაწილეთა შორის ყველაზე „ხანდაზმული“ შემადგენლობა ცსკა-ს ჰყავდა (საშუალო ასაკი — 25 წელი). ხანდაზმულობა სპორტში კრიტიკული ზღვარის მოახლოებაა, ეს კი, თავის მხრივ, არც ისე „ტკბილი ცხოვრების“ მაუწყებელია. და მართლაც, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა თბილისში ბევრი უსიამოვნო წუთი განიცადა (გაიხსენეთ რტი-სთან სასწაულით გადარჩენილი ქულა, თბილისელებთან შეხვედრის პირველი ნახევარი, ან უჩვეულო სხვაობით წაგებული ბრძოლა ლენინგრადის „სპარტაკთან“).

ციფრებით მანიპულაციამ ჩვენი წარმოდგენა უკვე ჩატარებულ მატჩებზე სხვა საინტერესო ცნობებითაც გაამდიდრა. თურმე, ამ ტურნირში საგრძნობ უპირატესობას სიმაღლის მხრივ აღარც ერთი გუნდი არ ფლობდა — კალათბურთელთა საშუალო სიმაღლე თითქმის გათანაბრდა (ყველაზე მაღალი გუნდი, ლენინგრადის „სპარტაკი“ მხოლოდ 2 სანტიმეტრით სჯობდა ყველაზე დაბალ კოლექტივებს — თბილისის „დინამოსა“ და „სტატიბას“).

თუმცა ამ მონაცემებს ერთგვარი ახსნა-განმარტება სჭირდება, თორემ შეიძლება შეგვექმნას შთაბეჭდილება: სიმაღლის პრობლემა ჩვენს კალათბურთში მოიხსნაო. მართალია კალათბურთელთა საშუალო სიმაღლე შესამჩნევად გათანაბრდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში ვიღებთ გუნდის ყველა თორმეტივე მონაწილის მაჩვენებელს. კალათბურთს კი, როგორც წესი, ხუთი კაცი თამაშობს. ასე რომ, გათანაბრების საერთო ტენდენციის მიუხედავად ყოველ კონკრეტულ მატჩში, კონკრეტულ სიტუაციაში ჯერ კიდევ იგრძნობა სხვაობა სიმაღლეში ცალკეულ გუნდებს შორის. ესეც რომ არა, საშუალო მაჩვენებელი მაინც ზოგადი კატეგორიაა და იგი ვერასდროს ვერ გამოხატავს ძალთა რეალურ შეფარდებას.

კაუნასის ტურის წინ

•

გნებავთ მაგალითი? ინებეთ. ცსკა-ს საშუალო სიმაღლე 196 სანტიმეტრია, თბილისის „დინამოსი“ კი — 195. კალათბურთისთვის ერთი სანტიმეტრი არაფერია, მხოლოდ ეს ფაქტი რომ იყოს არმიელთა უპირატესობის მაჩვენებელი. მაგრამ ცსკა-ს ჰყავს ხუთი კალათბურთელი ორ მეტრზე უფრო მაღალი. თბილისის „დინამოში“ კი ასეთი მხოლოდ ორია — ნ. დერიუგინი და რ. გარუჩავა. თანაც, არმიელთა ცენტრალური თავდამსხმელის ს. კოვალენკოს სიმაღლე, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ხოლმე, 215 სანტიმეტრია.

ახლა ვნახოთ რომელი კოლექტივები აღუდგნენ წინ მოსკოვის არმიელებს თბილისის ტურში? თავდაპირველად მინსკის რტი, რომელსაც კოვალენკოს თანატოლი ცენტრი ჰყავს, ვ. კრავჩენკო (214 სმ), შემდეგ ლენინგრადის „სპარტაკი“ მ. სილანტიევის (215 სმ) წყალობით. და ბოლოს თბილისის „დინამო“ თავისი ერთადერთი ცენტრალური თავდამსხმელით ნ. დერიუგინით (207 სმ). თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში სხვაობა მაინც საგრძნობი იყო, რაც თბილისელთა მარცხის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩავთვალოთ.

გამარჯვება კალათბურთში ბევრი კომპონენტის ერთობლიობას გულისხმობს, სადაც უპირველესი მნიშვნელობა სროლების სიზუსტეს ენიჭება. თანამედროვე კალათბურთში კარგა ხანია წაიშალა ზღვარი სნაიპერებსა და იმათ შორის, ვინც ამ სნაიპერებს სროლისთვის ხელსაყრელ პირობებს უქმნის. ვილნიუსის „სტატიბაში“ ექვს კალათბურთელს სროლების სიზუსტის აბსოლუტურად ერთნაირი პროცენტი აქვს. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა გუნდებშიც, ყველგან, თბილისის „დინამოს“ გარდა.

ნათქვამის საილუსტრაციოდ ისევ სტატისტიკას მივმართოთ. ჩვენი გუნდი არა მარტო თბილისის, ტალინის ტურის მაჩვენებლებითაც ყველაზე შედეგიანი კოლექტივია — 472 ქულა, რაც საშუალოდ 80 ქულას ნიშნავს ყოველ მატჩში. აქტიური, შემტევი კალათბურთისადმი ლტოლვა, რა თქმა უნდა, მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ ისიც საგულისხმოა, რომ თბილისელთა მიერ დაგროვილ ქულათა თითქმის 50 პროცენტი ორი კალათბურთელის — მ. ქორქიასა და ნ. დერიუგინის წილად მოდის. ქორქია და დერიუგინი თბილისის ტურის საუკეთესო სნაიპერებად გამოაცხადეს (პირველის ანგარიშზეა 110 ქულა, მეორის — 109). ამისთვის მათ სპეციალური ჯილდოებიც მიიღეს და საგანგებო ქება დაიმსახურეს, მაგრამ გუნდის დანარჩენ წევრთა საერთო მაჩვენებლების ფონზე ეს ხომ დამაფიქრებელი ფაქტია?.

სტატისტიკას სხვა კიდევ ბევრი საინტერესო ნიუანსის გამოტანა შეუძლია დღის სინათლეზე, მაგრამ თავი დავანებოთ დროებით ამ ისედაც გავრცელებული მეთოდის პოპულარიზაციას და უფრო არსებითად ჩავუკვირდეთ 45-ე ჩემპიონატის გაკვეთილებს.

(დასასრული მე-2 გვ.).



საკალათბურთო უცნაურობანი (ფრაგმენტები თბილისის ტურის მატჩებიდან). ა. ხაჩკოვის ფოტოები.

საქართველოსა და რუმინეთის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა სამატჩო შეხვედრის წინ

•



სტარტზეა კიდევ ერთი დღესასწაული

წლევანდელი სპორტული სეზონის მიწურულს თბილისელ ჭიდაობის მოყვარულთ ჭეშმარიტი დღესასწაულები ჰქონდათ. ჯერ იყო და სპორტის სასახლეში საბჭოთა „კლასიკოსებმა“ თავიანთი აბსოლუტური ჩემპიონი გამოავლინეს. შემდეგ იქვე დაიბადა ასეთივე რანგის ჩემპიონი, ოღონდ თავისუფალ ჭიდაობაში.

და აი, კარზე მოგვადგა „კლასიკოსთა“ კიდევ ერთი საინტერესო შეჯიბრება: საქართველო-რუმინეთი.

ჩვენი სტუმრები მსოფლიოს საუკეთესო „კლასიკოსები“ არიან. საკმარისია ითქვას, რომ წლეულს შვეციის მსოფლიო ჩემპიონატში მათ III ადგილი მოიპოვეს, ხოლო თურქეთში გამართულ ევროპის პირველობაზე მეორენი იყვნენ.

მოსალოდნელია, რომ თბილისში, რუმინეთის გუნდის შემადგენლობაში ვიხილავთ ისეთ ცნობილ კლასიკური სტილის მოჭიდავეებს, როგორებიც არიან ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები: ბურჩიანუ, ალექსანდრუ, ჯინგა, პაუნი, რუსო, დრაიცა, დიკუ, მარტინესკუ, დოლიპსკი...

თუ ვინ გამოვა მათგან თბილისის სარბიელზე ამისი თქმა დაბეჯითებით ძნელია, რადგან ამ დღეებში პოლონეთსა და თურქეთში კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირები ტარდება. სავარაუდოა, რომ რუმინელ „კლასიკოსთა“ ერთი ჯგუფი იქაც გამოვა. იმ შეჯიბრებებში ქართველი ფალავნებიც იასპარეზებენ — ვ. ბლაგიძე და მ. ლეჟავა თურქეთში, ხოლო ვ. წიკლაური და ა. მაისურაძე პოლონეთში. სამაგიეროდ, თბილისის სარბიელზე ვიხილავთ წლევანდელ სსრ კავშირის ჩემპიონს ი. ბერიშვილს, იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონსა და სოფიის უნივერსიადის პრიზიორს თ. აფხაზავას, მოსკოვის უნივერსიადისა და სსრ კავშირის ჩემპიონს მ. სალაძეს, სსრ კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონს შ. მორჩილაძესა და სხვებს.

საქართველოსა და რუმინეთის კლასიკური სტილის მოჭიდავეები წინათ რამდენჯერმე შეხვედრიან ამხანაგურ მატჩებში, მაგრამ შემდეგ ტრადიცია დაირღვა. შარშან რუმინელმა მოჭიდავეებმა საქართველოსა და სომხეთის კლასიკოსები მიიწვიეს. მასპინძლები ორი გუნდით გამოდიოდნენ. და მაინც, გუნდურ პირველობაში გამარჯვება ქართველ მოჭიდავეებს ხვდათ წილად. პირად პირველობაში კი სამი ქართველი ფალავანი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ორიც — მეორეზე.

ზემოთ წლევანდელ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში რუმინელთა მიღწევები ვახსენეთ. სამწუხაროდ, იმ შეჯიბრებებში რუმინელი და ქართველი ფალავნები ერთმანეთს არ შეხვედრიან. მიზეზი უბრალოა — საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არც ერთი ქართველი ფალავანი არ ყოფილა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საქართველოს კლასიკოსები ბოლო წლებში აშკარად აღმავლობის გზას ადგანან. გავიხსენოთ მათ მიერ შარშან მოპოვებული საკავშირო თასი, სსრ კავშირის შარშანდელი და წლევანდელი აბსოლუტური ჩემპიონები, წლევანდელი სამი ჩემპიონი და ორიც მეორე პრიზიორი...

წლეულს ყველაზე დიდი შეჯიბრება, სადაც საქართველოსა და რუმინეთის კლასიკური სტილის მოჭიდავეები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, სოფიის უნივერსიადა გახლდათ. იქ რუმინელთაგან ალექსანდრუ (48 კგ), პაუნი (62 კგ) და დრაიცა (82 კგ) გახდნენ ჩემპიონები, ხოლო საქართველოდან — ბლაგიძე (52 კგ). თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ იმ წონით კატეგორიებში, სადაც ქართველი ფალავნები გამოვიდნენ, წინ მხოლოდ ერთი რუმინელი — დრაიცა გავიდა.

ასეა თუ ისე, ხვალ სპორტის სასახლეში საინტერესო ბრძოლებია მოსალოდნელი.

ა. გურასაშვილი.

• • •

სურათებზე: რუმინელი მსოფლიო ჩემპიონი ჯინგა (მარცხნივ) და უნივერსიადის ჩემპიონი ბლაგიძე. მსოფლიო ჩემპიონს ქართველ ფალავანთან აშკარად არ წყალობს ბედი, რუმინელი რამდენჯერმე დამარცხდა ბლაგიძესთან ორთაბრძოლაში. ეს სურათი სოფიის უნივერსიადაზეა გადაღებული. გამარჯვება და ოქროს მედალი იქაც ბლაგიძეს ხვდა წილად, ვერცხლი — ჯინგას, რუმინელი რუსო (მარცხნივ) მონრეალის ოლიმპიური თამაშების პრიზიორია. არც იმისი მეტოქე, პოლონელი სუპრონია ნაკლებად ტიტულოვანი. მათი ორთაბრძოლა მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. ეს სურათიც სოფიის უნივერსიადაზეა გადაღებული. ამ ორთაბრძოლაში რუმინელმა იმარჯვა.

ავტორის ფოტოები.

მედიკოსების გამარჯვებით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთათვის რეგბი სპორტის შედარებით ახალი სახეობაა: პირველი გუნდი შარშან სექტემბერში ჩამოყალიბდა. ამას წინათ მან მონაწილეობა მიიღო პირველ ტურნირში, რომელშიც მოსკოვის საინჟინრო-ფიზი-

რსიტეტის ახალგაზრდული, თბილისის „სპარტაკის“ მეორე კოლექტივი და სამედიცინო ინსტიტუტის გუნდები გამოდიოდნენ.

სამედიცინო ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგის გ. დოლიძის, სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარის დოცენტ

კომიტეტის მდივნის კ. ბარქაიას მცდელობით შეჯიბრება თბილისში მაღალ დონეზე ჩატარდა. იგი მოიგო სამედიცინო ინსტიტუტის გუნდმა. მომავალმა ექიმებმა სძლიეს „სპარტაკს“ (20:8), შემდეგ მოსკოველებს — 28:3, ბოლო ტურში კი უნივერსიტეტთან წააგეს — 3:4.

II ადგილზეა „სპარტაკი“, III ადგილი ხვდა მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივს.

გ. ვეკუა.

თანამედროვე კალათბურთის რამდენიმე კანონზომიერება

დასასრული

თავდაპირველად რამდენიმე ზოგადი ხასიათის შენიშვნა:

1. როგორც იქნა ჩვენს კალათბურთში ერთმმართველობის ერა დამთავრდა. ან, ყოველ შემთხვევაში, ბოლო წლებში გაბატონებულ ტენდენციას აშკარად შეერყა საფუძველი. ნიშნავს კი ეს იმას, რომ ცსკა-მ დაკარგა ავანგარდული როლი კალათბურთში? ჩვენის აზრით არა. ცსკა უსათუოდ იტყვის სათქმელს უახლოეს მომავალში, თუნდაც მაშინ, როცა დაემატება რამდენიმე ძირითადი მოთამაშე და მათ შორის ს. ბელოვი. არ არის გამორიცხული, რომ იგი ისევ მოექცეს სათავეში სატურნირო ცხრილს. სხვა უფრო საიმედო და მტკიცე ლიდერი ჩვენს კალათბურთს ჯერჯერობით არც ჰყავს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გუშინდელი უსიტყვო უპირატესობისგან არმიელებს არაფერი დარჩათ ტკბილი მოგონების გარდა.

რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ ს. ბელოვის როლზე საბჭოთა კალათბურთში, რამდენიც უნდა მივუზღოთ ღირსეულ თანამედროვე კალათბურთის ამ ჭეშმარიტ დიდოსტატს, ერთი რამ ცხადია: ცსკა-მ დაკარგა გუშინდელი რწმენა, ხელწერა და სიმსუბუქე, რაც მისი ოსტატობის მარაგს ქმნიდა. ათობით წლის მანძილზე დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ჯერ კიდევ არის იმის გარანტია, რომ გუნდმა ერთი-ორი სეზონი ინერციით იაროს. მერე კი... რაც მერე მოხდება, სამსჯავროდ დავუტოვოთ მომავალს.

2. რამ განაპირობა ცსკა-ს ერთმმართველობის აღსასრული? გუნდის კრიზისულმა მდგომარეობამ, თუ სხვა კონკურენტთა ოსტატობის მკვეთრმა ამაღლებამ? ერთი სეზონის სტარტით ასეთ გლობალურ პრობლემებზე პასუხის გაცემა, ცხადია, ძნელია, მაგრამ პირველი შთაბეჭდილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არც ერთი არგუმენტია გამორიცხული და არც მეორე. არც ისაა გამორიცხული, რომ მთავარი მიზეზი ამ არგუმენტთა ერთობლიობაში გამოიხატოს.

19 დეკემბერს კაუნასში დაიწყება ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასკვნითი ტურის მატჩები. გათამაშების ცხრილში კი უკვე ოთხი ლიდერია, რომელთაგან ჯერჯერობით ვერც ერთი ვერ გადაურჩა მარცხს. ეს უპრეცენდენტო შემთხვევაა საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე.

შეუძლებელია შემთხვევითობის როლის უარყოფა ამ ტენდენციაში. მაგრამ როცა ერთი მოულოდნელობა მეორეს ცვლის, როცა ყოველ ახალ კალენდარულ დღეს ახალი სიურპრიზი მოაქვს, ყურადღების გამახვილება მხოლოდ შემთხვევაზე, ამ ტენდენციის ლოგიკურობის უარყოფა იქნებოდა. ან რატომ უნდა დავხუჭოთ თვალი სიახლეზე, რომელიც მოწოდებულია წინ წასწიოს კალათბურთი? სად ერთი გუნდი და მის გარშემო შექმნილი ვაკუუმი და სად ოთხი, გნებავთ მეტიც, თანაბარი ძალის პრეტენდენტი. რომელთა მეტოქეობამ უნდა განსაზღვროს საბჭოთა კალათბურთის მომავალი?

მე თუ მკითხავთ ცსკა-ს ერამ, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ერთ ადგილზე გაჰყინა ჩვენი კალათბურთი. თუმცა ამაში ყველაზე ნაკლებად დამნაშავენი თვით სპორტსმენები არიან, რომლებიც მუდამ თანამედროვე კალათბურთის ეტალონად გვესახებოდნენ. და თუ ახლა ნამდვილად წაიშალა ზღვარი ლიდერს და მის უახლოეს მდევრებს შორის, ეს იმას ნიშნავს, რომ კალათბურთი ხელახალი აღორძინების სწორ გზას დაადგა. ე. ი. დიდი სპორტის გლობალური პოზიციებიდან სასიხარულო უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე სამწუხარო ან გულდასაწყვეტი.

3. რამდენად კანონზომიერია ტალინის ტურის სიურპრიზები და აქვს თუ არა მას მყარი და რეალური საფუძვლები? ერთი ხელის მოსმით უმაღლესი მწვერვალი სპორტში არავის დაუპყრია. არ ახსოვს მსგავსი პრეცენდენტი საბჭოთა კალათბურთის ისტორიასაც. არც ის გვგონია, რომ რიგის ვეფ-ის მწვრთნელი ა. კრაულინი დღეს სერიოზულად ფიქრობდეს დაეუფლოს 45-ე ჩემპიონატის რომელიმე ჯილდოს. მოულოდნელი აქ სულ სხვაა, კერძოდ „სტროიტელისა“ და მოსკოვის „დინამოს“ უხეირო სტარტი, თორემ ვეფ-ი ფაქტიურად უმაღლეს ლიგაში სარეაბილიტაციო ქულებს აგროვებს. ეს არის და ეს.

მაგრამ ისიც ცნობილია, რომ სიურპრიზი შეიძლება მოხდეს ერთხელ ან ორჯერ. ყოველი დღის, ყოველი შეხვედრის მოულოდნელი შედეგი უკვე თავისთავად გამორიცხავს მოულოდნელობის ფაქტს. ეს ის შემთხვევაა, როცა მოულოდნელობა უკვე დადგენილი კანონზომიერებით იცვლება. „სტროიტელმა“ წააგო მატჩი ვეფ-თან, რომელიც 45-ე საკავშირო ჩემპიონატს დაუბრუნდა, როგორც უმაღლესი ლიგის დებიუტანტი. „სტროიტელს“ ვერ უშველა ვერც ტიტულებმა, ვერც წარსულმა, ვერც საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრთა (ვ. ტკაჩენკო, ნ. ბელოსტენი) ავტორიტეტმა. დებიუტანტს ბასრი კბილები აღმოაჩნდა და ორჯერ უფრო მეტი მონდომება და სურვილი. არ არის გასაკვირი, რომ რწმენა, ასეთ დროს ნერვიულობით იცვლება, სურვილი კი დაუკმაყოფილებლობის გრძნობით. „სტროიტელმა“ ჯერ წმინდა საკალათბურთო უპირატესობა დაკარგა, მერე ფსიქოლოგიური და აი შედეგიც: წაგებული მატჩი და ოთხი ტექნიკური შენიშვნა, რომელთაგან 3 ნაკრების წევრთა წილად მოდის.

უკრაინელმა კალათბურთელებმა ტურის ბოლომდე ვერ „იპოვნეს“ თამაში. ისინი ალალბედზე ცვლიდნენ ერთ ტაქტიკურ ვარიანტს მეორეთი და საბოლოოდ ვერც დაადგინეს, რომელი უფრო ხელსაყრელი იყო მათთვის. ასე მაგალითად, „ჟალგირისთან“ გამარჯვების შემდეგ (ამ დღეს ერთდროულად თამაშობდნენ ტკაჩენკო და ბელოსტენი) დამღუპველი აღმოჩნდა ორმაგი ცენტრით თამაში მოსკოვის „დინამოსთან“. არც ამ უკანასკნელს ჰქონდა ტკბილი ცხოვრება ტალინში. ქიგილიისა და ბოლოშევის გუნდი ქულას ქულაზე ჰკარგავდა და რის ვაი-ვაგლახით გავიდა III-V ადგილებზე ორად-ორი გამარჯვებით.

რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ცხადია იმას, რომ არც ერთი ფავორიტი და არც მეორე გუშინდელი აუტსაიდერებისგან არ მოელოდა ასეთ წინააღმდეგობას. აი რა იყო მოულოდნელი — „სტროიტელისა“ და „დინამოს“ დამოკიდებულება მეტოქეებისადმი, თორემ ვის შეუძლია უარყოს ის, რომ ვეფი ან „კალევი“ ბრწყინვალედ თამაშობდნენ? რა ვუყოთ, რომ შარშან „კალევი“ უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა მხოლოდ? რა მოხდა იმით, რომ ერთი წლის მანძილზე „კალევის“ შემადგენლობა არსებითად არ შეცვლილა?

ან რაღა შორს მივდივართ, განა თბილისის „დინამო“ წლეულს უფრო საიმედოდ არ გამოიყურება, ვიდრე შარშან?

ერთი სიტყვით, ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს და გამართლება (მათ შორის „ჟალგირისის“ წარუმატებელ სტარტსაც, რასაც უსათუოდ მიიღებს მხედველობაში ლიტვის გუნდი კაუნასის ტურში). ერთის წარმატებას ან გამარჯვებას, ტრადიციულად, მეორის სუსტ თამაშს უკავშირებენ ხოლმე, მაგრამ ხელაღებით იმის მტკიცება, რომ ამის გამო კალათბურთის საერთო დონე ერთ ადგილზე იტკეპნებაო, არ არის სწორი. ამიტომაც ვამტკიცებთ ხელაღებით: უმაღლესი ლიგის კალათბურთში გამოიკვეთა საერთო მნიშვნელი, რომელსაც ნელ-ნელა უთანაბრდება ყველა გუნდის ოსტატობა, ვიმეორებთ, ნელ-ნელა უთანაბრდება და არ გაუთანაბრდა.

თბილისის ტურმა საშუალება მოგვცა დეტალურად შეგვესწავლა ცალკეული მატჩების ჩანაწერები, ოქმები. პირველ ყოვლისა და ეს ბუნებრივიცაა, ჩვენი ყურადღება მიიპყრო შედეგთა სიმჭიდროვემ. უკვე სამუზეუმო იშვიათობას წარმოადგენს 20, 30 ან მეტი ქულიანი სხვაობა, როგორი თანაფარდობაც უნდა იყოს გუნდებს შორის. ერთ პერიოდში ეჭვიც შეგვეპარა — ხომ არ დასრულდა ის პროცესი ძალთა თანდათანობით გათანაბრება რომ შევარქვით?

მაგრამ ეჭვების გაფანტვას ზუსტად იმდენი დრო დასჭირდა, რამდენიც საკვანძო მატჩების მსვლელობის გახსენებას. და აი, მაშინ დავასკვენით, რომ ესეც ჩვენი კალათბურთის განვითარების ახალი ტენდენციის ერთი ფორმა ყოფილა, არც თუ სასურველი, მაგრამ უკვე საკმაოდ ფესვებგამჯდარი. გაგვიგეთ სწორედ — ჩვენ იმის წინააღმდეგნი კი არა ვართ, რომ სხვაობა ანგარიშში მინიმალური იყოს. ჩვენ უბრალოდ შეშფოთებას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ ფავორიტებიც კი ხშირად გაცილებით უფრო მეტ ქულას იღებენ საკუთარ კალათში, ვიდრე მათ რანგსა და შესაძლებლობებს შეეფერება.

რით არის გამოწვეული ეს ფენომენი? ორიოდე სიტყვით ამას დაცვის როლის ნაწილობრივი უგულებელყოფა შეიძლება ვუწოდოთ: უფრო უხეშად კი უსიტყვო შეთანხმება — ხელს ნუ შემიშლი, არც მე შეგიშლი ხელს. ასეთ დროს აქცენტი მთლიანად შეტევაზეა გადატანილი — შეტევა პოზიციის მისაღებად, შეტევა სივრცის დასაპყრობად და აქედან გამომდინარე შეტევა სროლისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. შეტევა ყოველ წუთს და ყველა სიტუაციაში! ასეთია, სხვათა შორის პროფესიული კალათბურთის ერთ-ერთი შეგონებაც, მაგრამ ყოველ შეტევას იქ, ზურგს უმაგრებს მტკიცე და საიმედო დაცვა, ჩვენთან კი შეტევის როლის შემდგომი ზრდის ფონზე შესამჩნევად გაღარიბდა დაცვა.

ჩამიგდებ — მეც უთუოდ ჩაგიგდებ! ამ პრინციპმა გაამარტივა კალათბურთი, თუ გნებავთ გააღარიბა კიდეც და თამაშმაც ცხადია უფრო ღია, უფრო გახსნილი ხასიათი მიიღო.

და აი, უნებლიედ მივადექით ერთ პრინციპულ საკითხს, რომელიც დიდი ხანია აღელვებთ კალათბურთის სპეციალისტებს. რომელი კალათბურთია უფრო თანამედროვე და მაშასადამე სიცოცხლისუნარიანი — ის, რომელიც უმოკლეს გზას პოულობს კალათისაკენ, თუ ის, რომელიც აღსავსეა მრავალსვლიანი, მახვილგონივრული და ეფექტური კომბინაციებით. ამ საკითხზე დავა, ალბათ, უსასრულოდ შეიძლება, ისე რომ ამომწურავი პასუხი არც მიიღოს კაცმა.

ლოგიკა თითქოს იმას კარნახობს, რომ მიზანს თანამედროვე სპორტში უფრო რაციონალური გზით აღწევენ. მაგრამ კალათბურთის ერთადერთი მიზანი კალათში ბურთის ჩაგდება ხომ არ არის? რა ვუყოთ თამაშის სანახაობრივ მხარეს, შინაგან სილამაზეს, რისთვისაც აგრერიგად შეიყვარა ეს სპორტი კაცობრიობამ.

შესაძლოა ისეთი დროც დადგეს, როცა ხუთი ფანტასტიკური ნებისყოფის მქონე კალათბურთელი ისწავლის უშეცდომო სროლას კალათში ნებისმიერი მანძილიდან. ბოლოს და ბოლოს ამას იმდენად ნიჭი და მონაცემები არ სჭირდება, რამდენადაც სროლის ჩვევის ავტომატიზმის გამომუშავება. ერთი ან ორი პასი და სროლა! ხომ არ გაღარიბდა კალათბურთი? ხომ არ გახდა იგი სქემებისა და ავტომატების სპორტი. ეს მართლაც კოშმარი იქნებოდა, ადამიანს რომ არ ჰქონდეს ფანტაზიის, იმპროვიზაციისა და შემოქმედებითი აქტივობის უნარი.

ამ დღეებში საბჭოთა კალათბურთის ერთ-ერთმა ბრწყინვალე ოსტატმა პ. ტომსონმა გაკვირვებით აღნიშნა: დიდი ხანი არაა, რაც თამაშს თავი დავანებე, მაგრამ ვატყობ, რომ სროლების სიზუსტე საგრძნობლად გაიზარდაო. ესეც, სხვათა შორის, სრულყოფის ტენდენციაა. ეს ამავე დროს აუცილებელი მინიმუმია მაღალი მწვერვალების დაპყრობის გზაზე.

სროლის სიზუსტის კოეფიციენტი მომავალში კვლავ მოიმატებს. დღეს უკვე, თითქმის ყველა გუნდში არიან სნაიპერები, რომლებსაც ხელი თუ არ შეუშალე, უშეცდომოდ შეუძლიათ სროლა ნებისმიერი დისტანციიდან. ზოგ გუნდში ისინი ბევრნი არიან, ზოგან ნაკლები, მაგრამ ყველა მეტნაკლებად ცდილობს გაიუმჯობესოს სროლების სიზუსტე. სხვების რა მოგახსენოთ, თბილისის დინამოელებს კი ამ მხრივ მეტი მუშაობა მართებთ, თორემ ისედაც უკვე ჩამორჩნენ საკავშირო სტანდარტებს. რაც შეეხება სანახაობრივ მხარეს, იგი ჩვენს გუნდს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. სხვაგვარად თამაში მას არ შეუძლია ისევე, როგორც რტი-სა ან ლენინგრადის „სპარტაკს“ რაციონალური კალათბურთის გარეშე ცხოვრება.

მაშ შევთანხმდეთ ერთში. ღია თამაშით გატაცება, სადაც მინიმუმამდეა დაყვანილი დაცვის ძალა და როლი, ისევე შეუთავსებელია თანამედროვე კალათბურთისთვის, როგორც მხოლოდ სანახაობრივი ან რაციონალური თამაში. როცა ნეისმიტი კალათბურთის არსს აყალიბებდა, იგი კოლეჯის მოსწავლეთა ფიზიკურ დატვირთვაზე ფიქრობდა მხოლოდ. მას შემდეგ კალათბურთმა რთული და საინტერესო ევოლუცია განიცადა და დღეს სპორტული თამაშის თავისებურ კვინტესენციად იქცა. თამაშს კი თავისთავად ახასიათებს აზარტიცა და შიშველი აზრიც, სილამაზეცა და მშრალი ანგარიშიც, შემოქმედებაც და მკაცრი სიზუსტეც. ყველამ თავისი წილი უნდა მიიღოს კალათბურთისგან, ოღონდ ვისაც როგორ ესმის, ვისაც როგორ სწამს, ვინც როგორ ხედავს.

ნ. ბუზუშვილი.



უსიტყვოდ.

ა. ოქროპირიძის ნახატი.

გათამაშების საერთო ცხრილი

მდგომარეობა კაუნასის ტურის წინ

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბ.)	5	4	1	472—408	4
„სპარ“. (ლენ.)	5	4	1	442—399	4
ცსკა	5	4	1	443—418	4
ვეფ-ი	5	4	1	466—449	4
„კალევი“	5	3	2	419—407	3
„სტროიტელი“	5	3	2	393—390	3
„დინამო“ (მ.)	5	2	3	453—435	2
ასკ	5	2	3	430—447	2
რტი	5	2	3	410—440	2
„სტატიბა“	5	1	4	426—440	1
„ჟალგირისი“	5	1	4	410—443	1
„სპარ“. (ვლად.)	5	0	5	393—481	0

რა არის სადავო?

> „... მნიშვნელოვანია ის საკითხი, თუ სად უნდა მიმდინარეობდეს ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის პროცესი. სპორტული ბაზების მატერიალურ-ტექნიკური განმტკიცების პრობლემა ჩვენი რესპუბლიკისთვის № 1 პრობლემაა“.
>
> (საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მასალებიდან).

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განსახორციელებლად თბილისში ამ ბოლო დროს ბევრი საბავშვო სპორტული მოედანი მოეწყო. სულ მალე რკინიგზელთა დასახლებაში დგებუაძის ქუჩაზე კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთისა და მინი-ფეხბურთის კიდევ ერთი კომპლექსური სპორტული მოედანი ჩადგება მწყობრში, ის ადგილი, სადაც ამჟამად ნორჩებისთვის განკუთვნილი სპორტული ბაზის მშენებლობაა გაჩაღებული, დიდხანს ნაგვის დასაყრელად იყო გამოყენებული. ეს მაშინ, როცა იქვე მცხოვრებ 330 ოჯახის ასობით მოზარდს ბურთის გასაგორებელი უბრალო ადგილი რა არის, ისიც არ ჰქონდა.

ვინ აშენებს სპორტულ მოედანს? — ვკითხეთ სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ ამიერკავკასიის საგზაო საბჭოს საორგანიზაციო მუშაობის განყოფილების გამგეს ს. რამინიშვილს, რომელმაც რედაქციას ტელეფონით აცნობა ამ შესანიშნავი თაოსნობის შესახებ. რამინიშვილთან საუბრის შემდეგ, უკვე რამდენიმე წუთში მშენებლობის ობიექტზე ვიყავით. ადგილზე დაგვხვდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის (უფროსი ლ. მეგრელიშვილი) წარმომადგენლები — ისინი, ვისი თაოსნობითა და ძალებითაც კეთდება ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე. მშენებლებს სანაპიროს მხრიდან უკვე ამოუყვანიათ საყრდენი კედელი და ხუთი მეტრი სიმაღლის მავთულის ბადეც შემოუვლიათ მოედნისთვის. კალათბურთის ფარების დაყენებაღა იყო დარჩენილი. სამუშაოთა მწარმოებელმა ა. გვაზავამ იქვე გაგვაცნო ტრესტის მოწინავე მუშები: რ. კლდიაშვილი, ვ. გოგიჩაიშვილი, ჯ. გაგიშვილი და ე. კილაძე. მათ თავად გამოუთქვამთ ამ ობიექტზე მუშაობის სურვილი და ახლა გაათკეცებული ხალისით შრომობენ, რადგან მხარში მოზარდები და მათი მშობლებიც ამოუდგნენ. საგულისხმოა, რომ ეს კომპლექსური მოედანი აქვე მდებარე რკინიგზის სკოლას და უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის კურსანტებსაც გაუწევს დახმარებას.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ სპორტული ობიექტის მშენებლობით ჩვენი დაინტერესების მიზეზი ერთი უსიამოვნო ფაქტიც გახლდათ. თურმე მას შემდეგ, რაც ყველასგან მივიწყებული, მოუვლელი ადგილი გაიწმინდა და მშენებლობა გაჩაღდა, მომიჯნავე ორგანიზაციებს მისი ხელში ჩაგდების სურვილი აღძრიათ. რამდენიმეჯერ მუქარითაც მიჰრიან თაოსნებს. იკითხავთ: რა საბუთს იშველიებენო — არაფერს — თუ იფიქრეს — იქნებ დავაში ვაჯობოთო. როგორც გვითხრეს, უთანხმოება კვლავაც გრძელდება და ალა-ბალათი გაღიზიანებული მობინადრეებიც იძულებული არიან ინსტანციიდან ინსტანციას მიმართონ მოზარდთა კეთილდღეობისთვის ჩაფიქრებული საქმის უხინჯოდ დასამთავრებლად.

პარტიის პირველი მაისის რაიკომი და აღმასკომი, რომელთა მხარდაჭერითაც მიმდინარეობს ამ სპორტული ბაზის მშენებლობა, სადავო საკითხს იმედია, დაუყოვნებლივ გადაჭრიან. და კიდევ ერთი: საჭიროა ამ სპორტულ ობიექტს ამთავითვე მივუჩინოთ უნარიანი პატრონი, რომ მას მთელი ყურადღება არ მოაკლდეს და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობაც მასობრივად გაიშალოს.

თ. ნაველი.

გალში შრომაც უყვართ და სპორტიც

მაღალი შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ გალის რაიონის მშრომელები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს. შრომაში მიღწეულ წარმატებათა პარალელურად გალის რაიონს სპორტშიც დიდი გამარჯვებები აქვს მოპოვებული.

საქართველოს ამ ლამაზი კუთხის ფეხბურთელებმა 2 უკანასკნელი სეზონის განმავლობაში სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. ჯერ იყო და გასულ წელს გაიმარჯვეს მეორე ჯგუფის დასავლეთის ზონაში, წლეულს კი ტოლი არ დაუდეს I ჯგუფის გამოცდილ ბინადრებს და გზა დებიუტანტებიდან ჩემპიონებამდე ერთ სეზონში განვლეს დამაჯერებლად, დამსახურებულად.

გაზეთი „ლელო“ უკვე იტყობინებოდა იმ ორი გადასასვლელი მატჩის შესახებ, რომლებიც გაიმართა გალის „მზიურსა“ და სოხუმის „დინამოს“ შორის. ჩვენ მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ გალის გუნდი ორივე მატჩში სჯობდა თავის მეტოქეს და თუ საბოლოოდ ვერ გაიმარჯვა, ამაში ფეხბურთელებს ვერ დავადანაშაულებთ. შეხვედრები უშეღავათო და პრინციპული იყო, სანახაობრივად საინტერესო და დაძაბული. საბოლოო გამარჯვება სოხუმის „დინამოს“ დარჩა. იმიტომ, რომ აფხაზეთის პირველი გუნდი უფრო გამოცდილია და ამავე დროს ვალდებულიც იყო შეენარჩუნებინა ადგილი „ა“ კლასის მეორე ლიგაში. რაც შეეხება გალის „მზიურს“, მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მივვაჩნია, რომ ღირსეულად ფლობს საქართველოს ჩემპიონის ტიტულს.

გალის რაიონის ფეხბურთელთა წარმატება აფხაზეთის ფეხბურთის წარმატებაა. „მზიურში“ კარგი მომავლის რამდენიმე ფეხბურთელია, რომლებიც თავისუფლად შეძლებენ ფართო სარბიელზე ქართული ფეხბურთის ღირსების დაცვას.

მისასალმებელია, აგრეთვე, ის გარემოება, რომ რაიონის პარტიული, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციები მზრუნველობას არ აკლებენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეს, ყოველნაირად ხელს უწყობენ ამ საქმის შემდგომ აღმავლობას, მისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას და განმტკიცებას.

ა. ჭკუასელი,
საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი.

კრივს, სპორტის ამ მამაცურ სახეობას ყოველ დროს პატივს სცემდნენ ხელოვნების წარმომადგენელნი. ასეა ახლაც. ფსიქოლოგისა და ლიტერატორის სერგი წულაძის გადმოცემით პარიზში ცნობილი ზანგი მოკრივე რეი რობინსონის არც ერთ საჩვენებელ გამოსვლას არ ტოვებდნენ მხატვრები, პოეტები, მუსიკოსები და ბალეტმეისტერები, იმდენი პლასტიკა და სილამაზე ყოფილა ჩაქსოვილი მის მოძრაობებში. საკმაოდ ბევრი დაწერილა კრივზე.

გავიხსენოთ ლორდ ბაირონი, ჯეკ ლონდონი, ჰემინგუეი, ფოლკნერი და სხვანი და სხვანი.

მაგრამ ბევრმა ალბათ არ იცის, რომ კრივს თაყვანს სცემდა ისეთი დიდი დრამატურგიც (მას ზოგნი შექსპირსაც კი ადარებენ), როგორიც იყო ბელგიელი მორის მეტერლინკი.

ბევრმა ალბათ არც ის იცის, რომ მეტერლინკი თავად იყო მოკრივე, თანაც ისეთი რანგის, რომელიც ტოლს არ უდებდა მსოფლიო კრივის გამოჩენილ ვარსკვლავებსაც კი.

ამაში გასაოცარი არაფერია. საოცარია ის ფაქტი, რომ ისეთი ღრმა, ფაქიზი პიესების ავტორი, რომელიც ადამიანის სულს უმღეროდა, ეგზომ დიდ პატივსა სცემდა კრივს.

მეტერლინკის ამ სტატიაში ზოგი რამ შესაძლოა უტოპისტურადაც გვეჩვენოს, პარადოქსალურადაც, მაგრამ ერთი რამ აშკარაა. მასში წინ არის წამოწეული ის ნიშან-თვისებანი, რომელნიც კრივის ატრიბუტებია — ვაჟკაცობა, პლასტიკა, კეთილშობილება და სხვა.

ამიტომაც ვცანით მიზანშეწონილად გვეთარგმნა ეს სტატია, მითუმეტეს რომ ამ წერილში გამოთქმული მოსაზრებანი ესატყვისება სამოყვარულო კრივის მოთხოვნებს.

საქართველოს კრივის ფედერაციის აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე ედიშერ გიორგაძე.

ქება კრივისა

მიუხედავად ჩვენი ათასგვარი გონებრივი გარჯილობისა, გვმართებს ხანდახან მაინც გამოვყოთ დრო სხეულის იმ ვარჯიშებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად უწყობენ ხელს მისი ძალისა და მოქნილობის ზრდას. უნდა მივსდევდეთ იმ საწვრთნელ ვარჯიშებს, რომლებიც ჩვენს სხეულს დაამსგავსებს ძალით დამუხტულსა და მეტოქის დამზაფრავ, თასმასავით მოქნილ ლამაზ ცხოველს, ყოველთვის რომ მზადაა პირისპირ შეებას ყოველგვარ საფრთხეს.

ამასწინათ დაშნაზე დაწერილ ჩემს სტატიაში საგნით გავერთე და ჯეროვანი ხარკი ვერ მივუზღე იმ ერთადერთ იარაღს, რომელიც გვიბოძა ბუნებამ — მუშტს. მინდა გამოვასწორო ჩემი უდიერება.

გამოტეხილად რომ ითქვას, ადამიანებმა თავი უნდა მივაკუთვნოთ ყველაზე ნაკლებ დაცულ, ყველაზე მყიფე და ფოლხვ არსებებს. შევადაროთ თავი თუნდაც მწერებს, რომელთაც თავდასხმის მრისხანე იარაღი ასხიათ და რომელთაც თავდაცვისათვის საოცრად მკვიდრი ჯავშანი მოსავთ. აბა დააკვირდით ჭიანჭველას, რომელიც ისე იკიდებს საკუთარ წონაზე ათ და თუნდაც ოცჯერ მეტ ტვირთს, ვითომდაც აქ არაფერიაო. დააკვირდით მატლს, ყველაზე სუსტს ხეშეშფრთიანთა შორის და აწონეთ ის ტვირთი, რომელსაც იგი ისე ზიდავს, რომ არც რგოლები აწყდება მუცელზე და არც ზედაფრთების ფარი ელუნება. ახლა აღარ იკითხავთ ციდა ხოჭოს გამძლეობას? მე მგონი მას უსაზღვრო ამტანობა გააჩნია. ამათთან შედარებით ჩვენ, ადამიანები, ისევე როგორც ძუძუმწოვართა უმრავლესობა, წარმოვადგენთ ჯერ კიდევ ლაბისებრ, დონდლო არსებებს. ხრცთუ დიდად განვითარებულთ პირველყოფილ პროტოპლაზმასთან შედარებით.

მარტოდენ ჩვენს ჩონჩხს, რომელიც გვევლინება ადამიანის საბოლოო ფორმის ესკიზად, აქვს გარკვეული წინააღმდეგობის უნარი, მაგრამ ეს ჩონჩხიც ისე უბადრუკია, ბავშვის მიერ გამოჩორკნილი გეგონებათ. აბა დააკვირდით ყურადღებით ხერხემალს, მთელი ჩვენი სისტემის ღეღაბოძს და ნახავთ თუ როგორ ჰაიჰარაზეა ჩასმული ერთმანეთში მალები. პირდაპირ სასწაულია, რომ არ ცვივდება ეს მალები და მთელი ხერხემალიც არ იმლება.

ახლა გულმკერდს აღარ იკითხავთ? იგი ხომ ხარიხების ჩელხია. რომელზეც თითის მიკარებაც კი საფრთხილოა. და ამ მოჩოლფოთებული და ძალისძალად შეკოწიწებული მანქანის საწინააღმდეგოდ, რომელიც ბუნების უბადრუკ, ბედუკუღმართ, მარცხიან ქმნილებად გვევლინება, და საიდანაც სიცოცხლე ყოველ წამს ლამობს გასხლტომას, ჩვენ მოვიგონეთ ისეთი იარაღები, მტერად რომ აქციდნენ ადამის მოდგმას, თუნდაც მის ნაშიერთ ჯადოსნური ჯავშანი ჰქონოდა და ყველაზე კერკეტი მწერების ზღაპრული სიცოცხლის უნარიანობა.

უნდა ვაღიაროთ ამაში არის რაღაც საოცარი, გამაოგნებელი ღალატი ჭეშმარიტებისა, რომელიც მოსდგამს ადამიანის ჯილაგს. ესაა თანშობილი სიგიჟე და ეს უგუნურება კი არ მცირდება, არამედ პირიქით მატულობს და იზრდება დღითიდღე.

თუკი მივსდევთ ბუნებრივ ლოგიკას, რომელსაც მორჩილებს ყველა სხვა ცოცხალი არსება, მაშინ ასე გვმართებს მოქცევა: უჩვეულოდ ძალოვან მტრებს უნდა გავუსწორდეთ ასეთი მრისხანე იარაღით, ხოლო კაცთა შორის თავდასხმისა თუ თავდაცვის იმ საშუალებებს უნდა ვიყენებდეთ, რომლებიც ჩვენს სხეულს გააჩნია.

თუ კაცობრიობა მოიწადინებდა ეცხოვრა ბუნების ცხადლივი მიზანმისწრაფულობის შესაბამისად, ისურვებდა მკაცრად დაეცვა ბუნების მოთხოვნა, მაშინ თავდასაცავად, სამართლიანობის აღსადგენად და შურისსაგებად იკმარებდა მარტოდენ მუშტი, რომელიც ადამიანისათვის იგივეა, რაც ხარისათვის რქა, ლომისათვის კი ბრჭყალები და კბილები.

იმის შიშით, რომ თავიდან აეცილებინა სახეობის ძირითადი კანონების მიმართ გამოუსყიდველი ცოდვა, ჩვენზე გონიერი რასა უთუოდ აღკვეთდა სხვა სახის ომს. და რამდენიმე თაობის შემდეგ შესაძლო იქნებოდა დამკვიდრებულიყო წმინდათაწმინდა პატივისცემა ადამიანის სიცოცხლის მიმართ. ამ წესის მიდევნით აღსრულდებოდა ბუნების კანონი, ბუნებრივი შერჩევაც თავისი გზით წარიმართებოდა, ხოლო სამხედრო დიდებისა და სახელის მოსახვეჭად სისხლისღვრაც აღარ იქნებოდა საჭირო.

ამ ხანის მოლოდინში კრივის შესწავლამ შესაძლოა მოგვცეს დიდებული გაკვეთილი. ამით იქნებ ფრთები შეკვეცოდა ჩვენს გაუმართლებელ ქედზვიადობასა და ყოყოჩობას. დავრწმუნდებოდით თუ როგორ მოჩლუნგებულა ჩვენთვის სანუკვარი ინსტინქტები, ხოლო სხეულის მოქნილობისა და სიმარჯვის, კუნთური სიძლიერისა და ტკივილის ამტანობის მხრივ კი ვნახავდით, რომ ამაში უსუსური ძუძუმწოვარნი და უკუდო ჯოჯოებიც კი გვაჭარბებენ, ამ თვალსაზრისით სავსებით მართებულად დადგენილ იერარქიაში ჩვენ ალბათ ბაყაყსა და ცხვარს შორის მოგვეკუთვნებოდა ადგილი.

ცხენის ფლოქვი, ხარის რქა, ანდა ძაღლის კბილი ანატომიურად უნაკლოა და სწორედ ასევე უზადოდ ემსახურება ამგვარი იარაღი თავის მფლობელს. გავარჯიშება ამ ბუნებრივი იარაღისა ყოვლად შეუძლებელია, ისე მარჯვედ იყენებენ მათ ცხოველები. ჩვენ კი ამაყთა და ქედმაღალთა ჯეროვნად ვერ მოგვიხმარია მუშტი. ვიდრე მწვრთნელი გულმოდგინედ და ზედმიწევნით არ აგვიხსნის, ჩვენ არ ვუწყით რარიგ ავამოქმედოთ მუშტი და როგორ ჩავტიოთ მასში ის უზარმაზარი ძალა, რომელიც ჩვენს მხრებსა და წელის არეში ბუდობს.

დააკვირდით აბა ორ მეეტლეს ან მიწის მუშას, რომლებსაც შეხლა-შემოხლა მოუვიდათ. უმეტეს უბადრუკ სანახაობას ვერსად ნახავთ. ლანძღვისა და მუქარის შემდეგ ისინი ერთმანეთს სწვდებიან ხოლმე ყელსა თუ ქოჩორში, იქნევენ წიხლებს, კბენენ ერთმანეთს, კაწრავენ, ხელს ვერ უშვებენ ერთიმეორეს, იმის შიშით, ვაითუ მეტოქემ რამე მოგვწიოსო. თუკი რომელიმე მათგანს შევბა მიეცა, იგი ბრმად და უმიზნოდ, ძირითადად ჰაერში ისვრის ნაჩქარევ, უძალო დარტყმებს და ამ სამარცხვინო სანახაობას განასრულებს ის, რომ ერთ-ერთი მათგანის ხელში იელვებს მუხთლური დანა.

ახლა დავუკვირდეთ ორ მოკრივეს, არც ყოვლად უადგილო სიტყვები, არც ჰიდილი, არც პირიდან ცოფის ყრა. ესაა ორი, საკუთარ თავში დაჯერებული ნების სიმშვიდე. ორთავემ მშვენივრად იცის, როგორ უნდა იმოქმედოს. თავდაცვის ათლეტური პოზა, თითქმის ყველაზე მეტად რომ შვენის მამაკაცის სხეულს, მის ტანზე ყველა კუნთს დაგრაგნის თავით ფეხამდე. იოტის ოდენი ძალაც კი არ დაიხარჯება უქმად. თითოეულ მათგანს შეუმართავს ენერგიით დამუხტული ორი დიდრონი მუშტი. ახლა როგორი კეთილშობილური სისადავით ესხმიან თავს ერთიმეორეს! სამი დარტყმა მხოლოდ — და ეს სამად-სამი დარტყმა, ნაყოფი დიდი გამოცდილებისა, მათემატიკურად გამორიცხავს ათასგვარ უსარგებლო მოძრაობებს, რომელთაც მიმართავენ ხოლმე პროფანები. სამი სინთეტური, მძლეთამძლე, ყოველგვარ სრულყოფაზე მაღლა მდგომი დარტყმა.

როგორც კი ერთი მათგანი მაგრად მოახვედრებს მეორეს და იგი დაეცემა ან შებარბაცდება, ბრძოლა წყდება. გამარჯვებულიც ამით სრულიად დაკმაყოფილებულია. იგი ზეიმობს და არავითარი სურვილი არ გააჩნია ბოროტად გამოიყენოს თავისი გამარჯვება. დამარცხებული მხოლოდ დროებითაა გამოთიშული, მას მხოლოდ მყისიერად წაერთვა ძალა. სულ მცირე ხანში იგი წამოდგება ფეხზე, თითქმის ისევე საღსალამათი, როგორც ადრე, რაიმე სერიოზული ზიანის გარეშე, რადგან მისი ძვლებისა და სხეულის წინააღმდეგობის ძალა მკაცრად და ბუნებრივად ესატყვისება იმ ადამიანური იარაღის ძალას, რომელმაც ძირს დასცა.

შესაძლოა პარადოქსალურადაც გვეჩვენოს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. — იქ სადაც კრივი ინერგება, სპორტის ეს სახეობა იქცევა ხოლმე ყოფითი სიმშვიდის და აგრეთვე მორიდალობის აღზრდის საწინდარად. ყალყზე შემდგარი ნერვები, მუდმივი ეჭვიანობა, თავდაცვის გამუდმებული მდგომარეობა, ყველაფერი ეს არსებითად ჩვენი ფიზიკური უძლურობის შეგრძნების გამო გაღიზიანებული პატივმოყვარეობის შედეგია.

სწორედ ეს გვაიძულებს ამაყი სიბრაზის ნილბით გამოვეცხადოთ ჩვენს გარემომცველ ხალხს, რომელთაგან, სიმართლე უნდა ითქვას, მრავალნი უხეშები არიან, უსამართლონი და გულბოროტნი.

რაც უფრო განიარაღებულად ვგრძნობთ თავს შეურაცხმყოფელთა მიმართ, მით უფრო მწვავეა ჩვენი სურვილი ვუჩვენოთ და დავუმტკიცოთ კიდეც სხვებს, რომ დაუსჯელად, თითსაც ვერავინ დაგვაკარებს. ჩვენი თავგამოდება მით უფრო იჩენს ხოლმე თავს, რაც მეტადაა დამფრთხალი სხეულთან ერთად თანშობილი სიცოცხლისეული ინსტინქტი, იმ სხეულის, რომელსაც დარტყმა ელის.

რა ბედი ეწევა ამ საბრალო ინსტინქტს, თუ კი კრიზისი ცუდად დამთავრდა? საშიშროების ჟამს ხომ ყველა იმედი მასზეა დამყარებული. სწორედ ამ ინსტინქტის მეოხებით არ უნდა მოხდეს განა გაანგარიშება თავდასხმისას და ზრუნვა თავდაცვაზე?

მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში იგი ისე დათრგუნეს და ვააძევეს ჩვენი პიროვნების საბჭოდან, რომ ახლა ეს ინსტინქტი ჰგავს დიდხნობით სატუსაღოში ნამყოფ იმ პატიმარს, რომელსაც თვალს სჭრის დღის სინათლე.

რას მოიმოქმედებს იგი, საით წარმართავს საპასუხო დარტყმას, მუცლის თუ სახის არეში? რა იარაღი უნდა ირჩიოს, იდაყვი, კბილი, ხელები, თუ ფრჩხილები? მან თავადაც არ უწყის. ის ბორგავს გამომწყვდეული თავის უბადრუკ სამყოფლოში, უღონო სხეულში, რომელსაც მალე ელის თავდასხმა და ვიდრე იგი ამ ყოყმანშია, ჩვენში ჩასახლებული მზვაობრობა და პატივმოყვარეობა, ეს მართლაც ბრწყინვალებით მოსილი, ოღონდ ადამიანისათვის შეუფერებელი ბატონები კვლავ აღვივებენ და ცეცხლს უნთებენ იმ კამათს, რომელიც დასრულდა წივილ-კივილით, წიხლების უნიათო ქნევითა და ბავშვის საკადრისი მუჯლუგუნებით.

ხოლო ვინც გრძნობს, რომ ფლობს სამართლიანობის წყაროს, რისი საწინდარიც მისი მკლავია, მას უკვე აღარაფერში სჭირდება საკუთარი თავის დარწმუნება. მას ერთხელ და სამუდამოდ შეგნებული აქვს, რომ მოთმინება მისი ხვედრია. მან იცის, რომ უცილობლად გაიმარჯვებს. ამიტომაც მის გულში ფრთებს შლის მშვიდობის ყვავილი. ამავ მიზეზით უხეშ შეურაცხყოფასაც კი არ ძალუძს შეცვალოს მისი შემწყნარებლური ღიმილი. იგი მშვიდობიანად და დინჯად ელის პირველ შემოტევას და თითქოს უბრად ესიტყვება მოძალადეს: „აბა ვნახოთ სანამდე მიაღწევს შენი თავგასულობა".

ნაადრევად იგი არასგზით არ გამოიყენებს თავის იარაღს. ოღონდ გადამწყვეტ წუთს კი მისი ჯადოსნური ჟესტი ბოლოს მოუღებს თავხედობას. და ადამიანი, რომელიც უბატონოდ ხმას არ გასცემს პატარა ბავშვსაც, ბოლოსდაბოლოს მძლეთამძლე ხელს ზეასწევს ჯანღონიანი, მოძალებული თავხედის წინააღმდეგ.

ოღონდ ესაა, რომ ქველსა და სულგრძელს მაშინაც კი წინასწარ სანანებლად დაურჩება ეს აგრერიგად იოლი გამარჯვება.

• • •

სურათზე: მსოფლიო კრივის ვარსკვლავთა ჯო ლუისისა (მარჯვნივ) და ბილი კონის ორთაბრძოლა.

„პირველი მერცხალი" კვლავ პირველია

კინოსტუდია „ქართული ფილმის" სახელი დიდი ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. მაყურებელთა ფართო აუდიტორიის განსაკუთრებული სიყვარულითა და მოწონებით სარგებლობს რეჟისორ ნანა მჭედლიძის ფილმი „პირველი მერცხალი" (სცენარის ავტორები ლ. ჭელიძე და ნ. მჭედლიძე). მისი შექმნიდან არც თუ დიდი დრო გა-

სა თუ უცხოეთში გამართულ კინოფესტივალებზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბრწყინვალე გამარჯვება ირანის საერთაშორისო კინოფესტივალზე (აქვე კინომსახიობს დოდო აბაშიძეს მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის სპეციალური პრიზი მიენიჭა). სულ ახლახან კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალ-

კინოფესტივალზე ქართულმა მხატვრულმა ფილმმა „პირველმა მერცხალმა" ფესტივალის მთავარი ჯილდო „დიდი პრემია" დაიმსახურა. ფესტივალის ჟიურიმ ერთხმად აღნიშნა, რომ ეს ნამუშევარი სპორტის, სპორტული ვაჟკაცობისა და იუმორის მშვენიერი სინთეზია.

ჩვენი კინომოყვარულისთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ფილ-

სმგებლო კინოფესტივალზე, აქ ხომ მსოფლიოს საუკეთესო კინორეჟისორთა მრავალი სპორტული ფილმი იყო წარმოდგენილი. იმედია „პირველი მერცხალი" კვლავაც პირველი იქნება და დამსახურებულ სიამაყის გრძნობას და ჭეშმარიტ სიხარულს მიანიჭებს როგორც მის დამდგმელ კოლექტივს, ისე კინოს მოყვარულებს.

„სპარტაკის" საოლქო

დამთავრდა „სპარტაკის" საოლქო საბჭოს გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. პირველობა საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის სპორტსმენებმა მოიპოვეს. მომდევნო ორ ადგილზე არიან ხილეული წყლებისა და ლუდის ქარხნის და სამუსიკო სასწავლებლის გუნდები.

ნ. დევაძე.
(ჩვენი კორ.).

„ჩემი ოცნება ოლიმპიადაში გამარჯვებაა"

საქდესის კორესპონდენტი ი. საიკო ტელეფონით დაუკავშირდა მშობლიურ ქალაქ ზაპოროჟიეში მყოფ სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენს ვ. იაშჩენკოს. ახალგაზრდა სპორტსმენმა მადლობა გადაუხადა მილოცვისთვის და სიამოვნებით გასცა პასუხი კორესპონდენტის შეკითხვებს:

● **ხომ არ გაგაოცათ მსოფლიო და ეროვნული დეპეშათა სააგენტოების მიმომხილველთა არჩევანმა?**

— უნდა გამოვტყდე, გამიკვირდა. წლევანდელ სეზონში, სპორტის სხვა სახეობებზე რომ არაფერი ვთქვათ, მძლეოსნობაში მხოლოდ მე არ დამიმყარებია მსოფლიო რეკორდი. უხერხულადაც კი ვგრძნობ თავს სხვა ჩემპიონებისა და მსოფლიო რეკორდსმენების წინაშე.

● **როგორ უნდა შეხვდეთ ახალ წელს. გაქვთ თუ არა ამ მხრივ რაიმე ტრადიცია?**

— არა მარტო დღესასწაულებში, არამედ ხშირად, ვარჯიშის დამთავრების შემდეგაც, ვიკრიბებით მწვრთნელთან ვასილი ტელეგინთან „ფინჯან ჩაიზე". ვსაუბრობთ ყველაფერზე, რაც კი გვაინტერესებს, ვდავობთ. ტრადიციას, ალბათ, წლეულსაც არ ვუღალატებთ. ძალიან გვიყვარს ქალაქგარეთ გასვლა, კოცონთან გამართული „მრგვალი მაგიდა". მაგრამ ყველაფერი ეს ზაფხულში ხდება. მე ხომ რიჩმონდის ასპარეზობის შემდეგ მაშინვე გავემგზავრე მეგობრებთან ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ სპორტულ ბანაკ „წრთობაში".

● **რა გეგმები გაქვთ ახალი წლისთვის ცხოვრებასა და სპორტში. როგორ ფიქრობთ, გააგრძელებენ თუ არა მსოფლიო რეკორდისთვის ბრძოლას და ვინ მიიღებს მონაწილეობას მასში?**

— ცხოვრებაში — სწავლა ინსტიტუტში, სპორტში — ახალი ვარჯიშები, შეჯიბრებები. მომავალი სეზონისთვის მზადება ნოემბერში დავიწყე. მსოფლიო რეკორდისთვის ბრძოლა, რა თქმა უნდა, გამწვავდება, მაგრამ მსოფლიო რეკორდი, უეჭველად გაუმჯობესდება. ახლა ძნელია იმისი თქმა, თუ ვინ გააკეთებს ამას პირველი. ძალიან ძლიერი „კამპანია" შეიკრიბა: როლფ ბაილშმიდტი, იაცეკ ვშოლა, ალექსანდრე გრიგორიევი. მათთან ერთად, რა თქმა უნდა, მეც ვეცდები უფრო დიდი სიმაღლე დავძლიო. დუაიტ სტოუნზსაც შეუძლია ასწიოს რეკორდის ჭერი.

● **შეიცვალა თუ არა ნაცნობმეგობრების დამოკიდებულება თქვენდამი რეკორდის შემდეგ და რაში გამოიხატება ეს?**

— დიახ, შეიცვალა. დასაწყისში უახლოესი ადამიანებიც კი დაიბნენ. ჩვენს მუშათა სპორტულ კლუბ „ტრანსფორმატორში" ჯერ არ ჰყოლიათ მსოფლიოს რეკორდსმენი. თავადაც უხერხულად ვგრძნობდი თავს იმ ყურადღების გამო, რომელსაც ჩემდამი იჩენდნენ ჩემი ამხანაგები. საბედნიეროდ, ყველაფერი ეს უკვე განცდილია. ახლა ყველაფერი თავის რიგზეა — კვლავ ვარჯიში, წიგნები, მუსიკა, სწავლა. კვლავ ნორმალური ურთიერთმისალმებები. წერილების ნაკადი კი არ წყდება. ბევრნი ასე აწერენ მისამართს — „ზაპოროჟიე, იაშჩენკო". არც ერთი არ იკარგება. ვფიქრობ, არა იმიტომ, რომ დედაჩემი — მარია ივანოვნა ფოსტალიონია.

კითხვაზე — რას ფიქრობს დიდების თაობაზე, ეხმარება თუ ხელს უშლის იგი სპორტსმენს — ვალოდიამ უპასუხა, რომ მისი აზრით, დიდება და სახელი ხელს უშლის სპორტსმენს თავისი ოსტატობა გამოავლინოს მაყურებლების წინაშე.

● **როგორი ურთიერთობა გაქვთ მაყურებლებთან. გეხმარებათ თუ არა მათი ენთუზიაზმი?**

— ვფიქრობ, რომ ბრწყინვალე. ისინი მე ძალიან მეხმარებიან. დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ მაყურებლის წინაშე. და თუ ტრიბუნებზე მეტი გულშემატკივარია, ბუნებრივია, ვცდილობ უკეთეს შედეგს მივაღწიო.

● **შეიძლება თუ არა 240-250 სმ სიმაღლის გადალახვა? როდის მოხდება ეს და როგორია თქვენი გეგმები ამის შესახებ?**

— ვფიქრობ, 240 სმ-ს უახლოეს 2-3 წელიწადში დაძლევენ, 250 სანტიმეტრსაც ჩვენს საუკუნეში გადალახავენ. რაც შეეხება საკუთარ გეგმებს, ჩემი მწვრთნელი ტელეგინი თვლის, რომ მეც შევძლებ ამას.

● **როგორი შედეგით შეიძლება მოსკოვის ოლიმპიადაში გამარჯვება? ოცნებობთ თუ არა ასეთ გამარჯვებაზე?**

— ვფიქრობ საჭირო იქნება არანაკლებ 235 სმ სიმაღლის დაძლევა. რა თქმა უნდა, ვოცნებობ ოლიმპიადა-80-ში გამარჯვებაზე. ჯერ კიდევ პატარაობიდანვე — მე ხომ სექციაში 11 წლისა მივედი — დავიმახსოვრე ვასილი ივანეს ძის ნათქვამი, რომ რეკორდები იცვლებიან, ხოლო ოლიმპიურ ჩემპიონებად მთელი ცხოვრების მანძილზე რჩებიან. ჩვენი მწვრთნელის ამგვარი გამონათქვამები ხშირად იყო ჩვენი საუბრის „საკვები" „მრგვალ მაგიდასთან". ასე რომ, ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებას დიდი ხანია ვოცნებობ.

● **როგორია ახლა თქვენი სიმაღლე? კიდევ ხომ არ იზრდებით?**

— 193 სანტიმეტრი. ბოლო ოთხ თვეში ერთი სანტიმეტრით მოვიმატე.

(საქდესი).

* * *

სურათზე: ვ. იაშჩენკო თავის მწვრთნელ ვ. ტელეგინთან ერთად.



ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის აუზ „მოსკვაში" 12 წელია მუშაობს სინქრონული ცურვის სექცია. სპორტის ამ ლამაზ სახეობაში 100-ზე მეტი გოგონა (9-დან 20 წლის ასაკამდე) ვარჯიშობს.

საქდესის ფოტოქრონიკა.

ჭადრაკი

თამაშობენ პრეტენდენტები

პარასკევს ბელგრადში ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ბ. სპასკი — ვ. კორჩნოის ფინალურ მატჩში X პარტია გაიმართა. ხუთსაათიანი ბრძოლა უშედეგო აღმოჩნდა: პარტია გადაიდო.

მატჩის ანგარიშია 6,5:2,5 კორჩნოის სასარგებლოდ.

იოსელიანმა კვლავ მოიგო

ლვოვი, 17 დეკემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ სსრ კავშირის ქალთა 37-ე ჩემპიონატის ფინალში XI ტურის შეხვედრები მოეწყო.

წარმატებით იასპარეზეს საქართველოს წარგზავნილებმა. ნ. იოსელიანმა კარგად გამოიყენა საერთაშორისო ოსტატ ა. კისლოვას (ლენინგრადის ოლქი) უზუსტო თამაში ფილიდორის დაცვაში და გაიმარჯვა. ეს მისი ზედიზედ მესამე მოგებაა.

როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, მ. ჩიბურდანიძემ უნდა მოუგოს მ. ლიტინსკაიას (ლვოვი) გადადებული პარტია. ესპანურ პარტიაში ქართველი დიდოსტატი ინიციატივას დაეუფლა და იგი ბოლომდე — პარტიის გადადებამდე შეინარჩუნა.

ნ. ალექსანდრიას ბრძოლა მოუხდა უფიმცევის დაცვის წინააღმდეგ, რომელიც ტ. ზატულოვსკაიამ (მოსკოვი) აირჩია. პარტია დაძაბულად მიმდინარეობდა და დაუმთავრებელი დარჩა.

სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. ახშარუმოვამ (მოსკოვი) ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ე. ახმილოვსკაიასთან (კრასნოიარსკი), ლ. ზაიცევამ (მოსკოვი) — ტ. მოროზოვასთან (ოდესა).

სხვა პარტიები გადაიდო.

11 ტურის შემდეგ ნ. ალექსანდრიას 7,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, მ. ჩიბურდანიძესა და ა. ახშარუმოვას — 7-7 (2-2), ტ. მოროზოვას — 7, ნ. იოსელიანს — 6,5.

გულკო, პეტროსიანი და სხვები

ლენინგრადი, სსრ კავშირის ვაჟთა 45-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირი.

XII ტური: გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) — ბ. გულკო 0,5:0,5, ტ. პეტროსიანი (ორივე — მოსკოვი) — ვ. ტუკმაკოვი (ოდესა) 0,5:0,5, ვ. სმისლოვი — ი. ბალაშოვი (ორივე — მოსკოვი) 0,5:0,5, ვ. ბაგიროვი (ბაქო) — ე. გელერი (მოსკოვის ოლქი) 0,5:0,5. გადაიდო კ. გრიგორიან (მოსკოვი) — ლ. ალბურტის (ოდესა), ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი) — ა. კოჩიევის (ლენინგრადი), ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი) — მ. ტალის (რიგა), ი. დორფმან — ო. რომანიშინის (ორივე — ლვოვი) პარტიები.

12 ტურის შემდეგ ბ. გულკოს 8 ქულა აქვს, ტ. პეტროსიანს — 7,5, ი. დორფმანს, ლ. პოლუგაევსკის — 6,5-6,5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

ლიდერები ყაიმს დასჯერდნენ, თუმცა არც ერთი მათგანი არ იყო მშვიდობიანად მიღწეული. გულკომ წინდახედული მანევრებით უვნებელყო კუზმინის მუქარა ფრანგულ დაცვაში. პეტროსიანმა ძველინდურ დაცვაში (თეთრებით) ტუკმაკოვს გაათანაბრებინა პოზიცია და ვიდრე მეტოქე ინიციატივის დაუფლებას შეეცდებოდა, რამდენიმე მსუბუქი ფიგურა გაუცვალა.

დიდი ბრძოლა გაჩაღდა პოლუგაევსკი — კოჩიევის შეხვედრაში. ახალგაზრდა ლენინგრადელმა ხარისხის შეწირვით მძაფრად შეუტია პოლუგაევსკის მეფეს. მაგრამ მოსკოველი დიდოსტატი ზუსტად იცავდა თავს. ერთ მომენტში — საცეიტნოტში იგი პარტიას იგებდა, მაგრამ ვერ შეამჩნია. ბოლოს პოლუგაევსკიმ მოიგო ფიგურა ორ პაიკში. პარტია გადაიდო.

თავიდან ტალი აგრესიულად იყო განწყობილი, მაგრამ სვეშნიკოვმა მარჯვე დაცვით თამაში გაათანაბრა. ტალმა მას დაზავება შესთავაზა. სვეშნიკოვმა უარი განაცხადა და ბრძოლამ ახალი ძალით იფეთქა. სვეშნიკოვმა სადღაც უზუსტოდ ითამაშა და უხარისხოდ დარჩა. გადადებულ პარტიაში მას ყაიმი სანატრელი აქვს.

ძალზე რთულ პოზიციაში შეწყდა დორფმან — რომანიშინის პარტია, რომელიც თავიდანვე უშეღავათოდ მიმდინარეობდა.

ალბურტმა ამჯერადაც ზედმეტად გაბედული თამაში წამოიწყო. გრიგორიანმა გონივრული მანევრებით პაიკი მოუგო და თითქოს პარტიის ბედი გადაწყვეტილი იყო. მაგრამ შემდგომ იგი ისე ზერელედ თამაშობდა, რომ ალბურტმა შეძლო კონტრთამაშის აწყობა. გადადებულ პარტიაში ალბურტის ფიგურები თეთრ მეფეს მუდმივი ქიშით ემუქრებიან.

ჰოკეი

გაზეთ „იზვესტიის" ტურნირის სასტარტო მატჩში მსოფლიო ჩემპიონებმა — ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებმა 16 დეკემბერს ფრედ (3:3) დაამთავრეს შეხვედრა ფინეთის გუნდთან.

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 5:3 (2:0, 2:2, 1:1) მოუგო კანადის პროფესიული კლუბ „კვებეკ ნორდიქსს". მასპინძელთაგან სამი შაიბა გაიტანა ანისინმა (საქდესი).

პროგნოზები არ გამართლდა

რიაზანი, 16 დეკემბერი. 82,5 კგ-მდე წონითი კატეგორიის ძალოსანთა საკავშირო თასის გათამაშების შედეგებმა წინასწარი პროგნოზები არ გაამართლა. კრასნოიარსკელმა ვ. კისელიოვმა საკავშირო ფიცარნაგზე პირველ დიდ წარმატებას მიაღწია, მან ორჭიდის ჯამში 352,5 კგ დააგროვა და ჩემპიონის ორი ოქროს მედალი მოიპოვა (აიტაცა — 157,5 კგ და აკრა — 195 კგ). კისელიოვთან ერთად საპატიო კვარცხლბეკზე ავიდნენ ვ. ავეიანი (არხანგელსი) — 350 კგ და ნ. ბურნაშოვი (ბუხარა) — 340. (საქდესი).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

„სპორტლოტოს" ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტო" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 50-ე ტირაჟისა, რომელიც 14 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი ვერავინ ამოიცნო. ხუთი პლიუს ერთი ნომრის ამოცნობისთვის მოგება 3078 მანეთია (2 ბარათი), ხუთი ნომრის ამოცნობისთვის — 2078 (50), ოთხისთვის — 54 (2056), სამისთვის — 4 (36337).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი აქაც ვერავინ ამოიცნო. ხუთი პლიუს ერთი ნომრის ამოცნობისთვის მოგება შეადგენს 2546 მანეთს (1 ბარათი), ხუთისთვის — 1546 (22), ოთხისთვის — 36 (1348), სამისთვის — 3 მან. (25702).

მოგებანი გაიცემა 1977 წლის 25 დეკემბრიდან 1978 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

თბილისი
სპორტული კვირეული

ფეხბურთი. საქართველოს „სუპერთასი". დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. 18 დეკემბერი. „მზიური" (გალი) — „ნადიკვარი" (თელავი). დასაწყისი 14 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-57; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

6 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02402